

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –  
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭო

---

ქ. ბათუმი

2014 წლის 27 იანვარი

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №05-01/02**

**ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში პროგრამული დაფინანსების  
გაცემის წესის დამტკიცების შესახებ**

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმა-  
ღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 18-ე მუხლის პირველი პუნქტისა,  
უნივერსიტეტის წესდების მე-17 მუხლის და აკადემიური საბჭოს 2014 წლის 27  
იანვრის №04-01/84 დადგენილების საფუძველზე

წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში პროგრამული  
დაფინანსების გაცემის წესი (დანართი 1) და სპეციალობის საგნების ჩამონათვალი  
კონცენტრაციების მიხედვით (დანართი 2)

2. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი  
საბჭოს სპიკერი

თ. მეიშვილი

## პროგრამული დაფინანსების გაცემის წესი

### მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. ეს წესი განსაზღვრავს სსიპ – ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში საშემსრულებლო მიმართულებით საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის პროგრამული დაფინანსების გაცემის წესს.

2. ეს წესი ვრცელდება ხელოვნების უნივერსიტეტში ჩარიცხულ იმ სტუდენტებზე, რომლებმაც საშემსრულებლო ხელოვნების საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისას ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე გაიარეს შემოქმედებითი ტური/ტურები.

3. წესი შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“- ქვეპუნქტის საფუძველზე.

### მუხლი 2. პროგრამული დაფინანსების წყარო და ოდენობა

1. პროგრამულად დაფინანსებული ადგილების განსაზღვრა ხდება ყოველწლიურად საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ უნივერსიტე-ტისათვის გამოყოფილი სუფსიდიის ფარგლებში.

2. პროგრამულად ფინანსდება:

ა. ბაკალავრიატის თითოეულ საშემსრულებლო საგანმანათლებლო პროგრამაზე (კონცენტრაციაზე) ჩარიცხული სტუდენტების 30%-ი.

ბ. მაგისტრატურის საშემსრულებლო საგანმანათლებლო პროგრამაზე პროგრამული დაფინანსების ოდენობა განისაზღვრება მისაღები კონტიგენტისა და სამაგისტრო პროგრამის რაოდენობის გათვალისწინებით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ გამოყოფილი ადგილების ფარგლებში.

3. მუსიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საორკესტრო მიმართულებით ჩარიცხული ყველა სტუდენტი ღებულობს პროგრამულ დაფინანსებას, მათ შორის, აღნიშნული მიმართულებით მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტი.

### მუხლი 3. პროგრამული დაფინანსების მიღების პირობები

1. სპეციალობისათვის გამოყოფილი კვოტის ფარგლებში პროგრამულ დაფინანსებას კონკურსის წესით მიიღებენ ხელოვნების უნივერსიტეტში ჩარიცხული სტუდენტები, რომლებმაც შემოქმედებით ტურში/ტურებში მიიღეს 81 და მეტი ქულა.

2. სტუდენტი ვერ მიიღებს მოპოვებულ პროგრამულ დაფინანსებას თუ:

ა. სწავლის პერიოდში სპეციალობის საგანში ან/და საგნებში მიიღებს 81

ქულაზე ნაკლებს;

ბ. სხვა საგანში ან/და საგნებში მიიღებს შეფასებას „ სრულიად არადამაკმაყოფი-ლებელი“;

გ. მობილობით ან ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩარიცხება სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და შეუწყდება ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსი.

დ. შიდა მობილობით პროგრამის ან/და კონცენტრაციის შეცვლის შემთხვევაში.

ე. პროგრამული დაფინანსება არ გაიცემა ხელოვნების უნივერსიტეტში ჩარიცხულ უცხოეთის მოქალაქეებზე.

4. გამოთავისუფლებული პროგრამული დაფინანსება გაიცემა იმავე ჯგუფში მყოფ იმ კანდიდატზე, რომელსაც სემესტრულ შეფასებებში სპეციალობის საგნებში აქვს შეფასება 81 და მეტი ქულა.

#### **მუხლი 4. გარდამავალი დებულება**

1. „პროგრამული დაფინანსების გაცემის წესის“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი არ ვრცელდება ხელოვნების უნივერსიტეტში 2014 წლის 1 იანვრამდე ჩარიცხულ სტუდენტებზე.

#### **მუხლი 5. წესის ამოქმედება**

ეს წესი ამოქმედდეს დამტკიცებისთანავე.

სპეციალობის საგნების ჩამონათვალი  
 კონცენტრაციების მიხედვით

| №                             | საგანმნათლებლო<br>პროგრამის<br>დასახელება   | კონცენტრაცია                                 | სპეციალობის საგნები                      |
|-------------------------------|---|--|--|
| 1                             | აუდიოვიზუალური<br>ხელოვნება                 | ტელერეჟისურა                                 | ტელერეჟისორის ოსტატობა                   |
|                               |   |  | კომპიუტერული მონტაჟი                     |
|                               |   |  | კინო-ტელე ოპერატორის ოსტატობა            |
|                               |   | კინორეჟისურა                                 | კინორეჟისორის ოსტატობა                   |
|                               |   |  | კინომონტაჟი                              |
| კინო-ტელე ოპერატორის ოსტატობა |   |  |  |
| 2                             | საშემსრულებლო<br>შემოქმედებითი<br>ხელოვნება | დრამატული თეატრის რეჟისურა                   | რეჟისორის ოსტატობა                       |
|                               |   |  | მსახიობის ოსტატობა                       |
|                               |   | თოჯინების თეატრის რეჟისურა                   | რეჟისორის ოსტატობა                       |
|                               |   |  | მსახიობის ოსტატობა                       |
|                               |   | დრამისა და კინოს სამსახიობო                  | თოჯინების ტექნიკა და ტექნოლოგია          |
|                               |   |  | მსახიობის ოსტატობა                       |
|                               |   |  | რიტმიკა                                  |
|                               |   |  | სასცენო მოძრაობა                         |
|                               |   |  | სასცენო მეტყველება                       |
|                               |   |  | მსახიობის ოსტატობა                       |
|                               |   | თოჯინების თეატრის სამსახიობო                 | რიტმიკა                                  |
|                               |   |  | სასცენო მოძრაობა                         |
|                               |   |  | სასცენო მეტყველება                       |
|                               |   |  | თოჯინების ტექნიკა და ტექნოლოგია          |
| ხატვა                         |   |  |  |
| ფერწერა                       |   |  |  |
| 3                             | დიზაინი                                     | ტექსტილის დიზაინი                            | ქსოვილის კომპოზიცია                      |
|                               |   |  | მუშაობა მასალაში                         |
|                               |   |  | ხატვა                                    |
|                               |   |  | ფერწერა                                  |
|                               |   | სამოსის დიზაინი                              | ტანსაცმლის კომპოზიცია                    |
|                               |   |  | კერვის ტექნიკა, ტექნოლოგია, კონსტრუირება |
|                               |   |  | ხატვა                                    |
|                               |   | ხის მხატვრული დამუშავება და<br>ავჯის დიზაინი | ფერწერა                                  |
|                               |   |  | კომპოზიცია                               |
|                               |   |  | მასალაში შესრულება                       |
| კონსტრუირება და ტექნოლოგია    |   |  |  |
| 4                             | სახვითი<br>ხელოვნება                        | დაზგური ფერწერა                              | ხატვა                                    |
|                               |   |  | ფერწერა                                  |
|                               |   |  | ფერწერის ტექნიკა და ტექნოლოგია           |
|                               |   |  | ფერწერის კომპოზიცია                      |
|                               |   |  | სცენოგრაფია                              |
|                               |   | დაზგური გრაფიკა                              | ხატვა                                    |
|                               |   |  | ფერწერა                                  |
|                               |   |  | გრაფიკის კომპოზიცია                      |
|                               |   |  | მუშაობა მასალაში                         |
|                               |   |  | პლაკატი                                  |
|                               |   |  | ილუსტრაცია                               |

| №                        | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | კონცენტრაცია                  | სპეციალობის საგნები   |                  |
|--------------------------|--------------------------------------|-------------------------------|---|------------------|
| 5                        | არქიტექტურა და დიზაინი               | შენობა-ნაგებობათა არქიტექტურა | არქიტექტურული გეგმარების საფუძვლები<br>მხაზველობითი გეომეტრია, პერსპექტივა                          |                  |
|                          |                                      | ინტერიერი და დიზაინი          | არქიტექტურული გეგმარების საფუძვლები<br>მხაზველობითი გეომეტრია, პერსპექტივა<br>ინტერიერის კომპოზიცია |                  |
|                          |                                      | ფორტეპიანო                    | სპეციალობა  |                  |
|                          |                                      |                               | საკონცერტმანსტერო კლასი   |                  |
| კამერული ანსამბლის კლასი |                                      |                               |   |                  |
| 6                        | საშემსრულებლო ხელოვნება              | ფორტეპიანო                    | საფორტეპიანო დუეტი  |                  |
|                          |                                      |                               | აკადემიური სიმღერა  | სპეციალობა       |
|                          |                                      |                               |   | კამერული სიმღერა |
|                          |                                      | ვოკალური ანსამბლი             |   |                  |
|                          |                                      | საოპერო კლასი                 |   |                  |
|                          |                                      | საოპერო სტუდია                |   |                  |
|                          |                                      | სოლფეჯიო                      |   |                  |
|                          |                                      | საორკესტრო                    | საოპერო გუნდი   |                  |
|                          |                                      |                               | სპეციალობა  |                  |
|                          |                                      |                               | კამერული ანსამბლი   |                  |
|                          |                                      |                               | საკვარტეტო კლასი/სასულე ინსტრუმენტების ანსამბლი   |                  |
|                          |                                      |                               | საორკესტრო კლასი  |                  |
| 7                        | სამუსიკო ხელოვნება                   | აკადემიური გუნდის დირიჟორობა  | სპეციალობა  |                  |
|                          |                                      |                               | საგუნდო კლასი და გუნდთან მუშაობა  |                  |
|                          |                                      |                               | საგუნდო პარტიტურის კითხვა   |                  |
|                          |                                      |                               | სოლფეჯიო  |                  |
|                          |                                      | მუსიკის თეორია                | სპეციალობა  |                  |
|                          |                                      |                               | სოლფეჯიო  |                  |
|                          |                                      |                               | ჰარმონია  |                  |
|                          |                                      |                               | მუსიკალური ფორმის ანალიზი   |                  |
|                          |                                      |                               | პოლიფონია   |                  |
|                          |                                      |                               | მუსიკის ისტორია   |                  |
|                          |                                      |                               | ქართული მუსიკის ისტორია   |                  |
|                          |                                      |                               | ქართული ხალხური მუს. შემოქმედება  |                  |
|                          |                                      |                               |   |                  |